



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 17 ნოემბერი, 2022

სხდომის დაწყების დრო: 18:30

ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ #11.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ინგა სეხნიაშვილი, ია გაბედავა, გიორგი ტურაზაშვილი, როინ მიგრიაული, ტარიელ კაკაბაძე, თორნიკე ბაქრაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) გიორგი თორდუას, სალომე დარასელიას, ნოდარ ჭიკაძეს, გიორგი წიკლაურის, სოფიო დემურაძის, გიორგი ნანობაშვილის, ანი ბულაშვილის, ნინო დოლიძის, შალვა ხვთისიაშვილის, ანა ჯაოშვილის, ნინო ბაინდურაშვილის, სესილი ბარბაქაძის, თორნიკე კაკულიას, მარიამ რობაქიძის, სალომე ქოჩორაშვილის, ეთერ მახაჭაძის, ბექა ვირსალაძის, თემური ლაბაძის, ეკატერინე დანელიას, ლაშა მაჭავარიანის, გიორგი ქოსაშვილის და თამარი კორახაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიორგი თორდუას, სალომე დარასელიას, ნოდარ ჭიკაძეს, გიორგი წიკლაურის, სოფიო დემურაძის, გიორგი ნანობაშვილის, ანი ბულაშვილის, ნინო დოლიძის, შალვა ხვთისიაშვილის, ანა ჯაოშვილის, ნინო ბაინდურაშვილის, სესილი ბარბაქაძის, თორნიკე კაკულიას, მარიამ რობაქიძის, სალომე ქოჩორაშვილის, ეთერ მახაჭაძის, ბექა ვირსალაძის, თემური ლაბაძის, ეკატერინე დანელიას, ლაშა მაჭავარიანის, გიორგი ქოსაშვილის და თამარი კორახაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ტასო მირზაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ტასო მირზაშვილის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

## საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) რამაზ იობიძის, მარიამ სანებლიძის, მანანა ცარციძის, გვანცა კახიძის, დავით ძნელაძის, სალომე პოლიკაშვილის, გიორგი ბალაშვილის, თამაზ გამგებელის, შოთა ქემაშვილის და ნათია მამუკაშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს რამაზ იობიძის, მარიამ სანებლიძის, მანანა ცარციძის, გვანცა კახიძის, დავით ძნელაძის, სალომე პოლიკაშვილის, გიორგი ბალაშვილის, თამაზ გამგებელის, შოთა ქემაშვილის და ნათია მამუკაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) გურამ საათაშვილის განცხადებას ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ გურამ საათაშვილის მიერ წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (6 მომხრე: დავით ასათიანი, ტარიელ კაკაბაძე, ინგა სეხნიაშვილი, ია გაბედავა, გიორგი ტურაზაშვილი, როინ მიგრიაული და 1 წინააღმდეგი: თორნიკე ბაქრაძე), მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს გურამ საათაშვილის განცხადება ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

**საკითხი 3.** წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ თამარ ზაქარაშვილის, ლია მეტრეველის, მურადი შუბითიძის, ცირა ზაზაშვილის, ვაჟა ენჯიბაძის, მარიამ ჭიკაძის, დავით მარტაშვილის, შოთა ქემაშვილის, ავთანდილ ყიფიანის და ტასო მირზაშვილის განცხადებებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამარ ზაქარაშვილის, ლია მეტრეველის, მურადი შუბითიძის, ცირა ზაზაშვილის, ვაჟა ენჯიბაძის, მარიამ ჭიკაძის, დავით მარტაშვილის, შოთა ქემაშვილის, ავთანდილ ყიფიანის და ტასო მირზაშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების თაობაზე.

**საკითხი 4.** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება.

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს წარუდგინა ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსია და განუმარტა ის ცვლილებები თუ დამატებები, რომელიც 2022 წლის 17 ოქტომბრის საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში იქნა შეტანილი. წევრების მხრიდან დაისვა კითხვები ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლის თაობაზე, რის შესახებაც მათ მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი მათთვის მისაღებია და დამატებითი შეკითხვები საკითხთან დაკავშირებით არ აქვთ.

ბიუჯეტის პროექტთან ერთად აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს წარუდგინა ასოციაციის აპარატის განახლებული სტრუქტურა და შესაბამისი საშტატო განრიგი, რის შესახებაც გაიმართა მსჯელობა. წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის პროექტი მისაღებია.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

**(ა) დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი № 1).**

**(ბ) დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აპარატის სტრუქტურა და საშტატო განრიგი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი № 2).**

**საკითხი 5.** ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ წევრების რაოდენობა, რომელთაც 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადაუვადდათ საწევრო დავალიანების გადახდა, შეადგენდა 85 პირს. აქედან, 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა რაოდენობა იყო 31, ხოლო 2021-2022 წლების საწევრო დავალიანება კი ჯამურად 85 პირს ერიცხებოდა.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღმასრულებელი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის თაობაზე. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, იღებს გადაწყვეტილებას წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

**აღნიშნულ საკითხზე ფარული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 1), არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 31**

მარტის გადაწყვეტილების თანახმად, 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრების მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

**საკითხი 6.** ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ გიორგი კვირიკაშვილის, თამთა მოგელაძის, ივანე გოგელიას, სალომე აბესლამიძის და გია გურგენიძის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად გიორგი კვირიკაშვილის, თამთა მოგელაძის, ივანე გოგელიას, სალომე აბესლამიძის და გია გურგენიძის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

**საკითხი 7.** საქართველოს სამართლის ინსტიტუტის განცხადება საგანმანათლებლო ღონისძიების აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

წევრები გაეცნენ საქართველოს სამართლის ინსტიტუტის განცხადებას საგანმანათლებლო ღონისძიების აკრედიტაციის შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განცხადება თანდართული მასალებით აკმაყოფილებდა აკრედიტაციის წესით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს საქართველოს სამართლის ინსტიტუტის განცხადება და წარმოდგენილ საგანმანათლებლო ღონისძიებას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**საკითხი 8.** გაიანე ვართანიანის განცხადება ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ გაიანე ვართანიანის განცხადებას და ბიოგრაფიას, ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწვევრიანების შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ კანდიდატურა რეკომენდირებულია კომიტეტის თავმჯდომარის მიერ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გაიანე ვართანიანის განცხადება ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწვევრიანების შესახებ. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

## საკითხი 9. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ზურაბ ელიაშვილის და მადონა ძინძიბაძის განცხადებებს. ზურაბ ელიაშვილმა აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განმარტა, რომ მ/წლის 15 მარტს, მადონა ძინძიბაძის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილ იქნა საწევრო 100 ლარის ოდენობით, თუმცა, რადგან გადახდის დანიშნულებაში არ მიუთითა შესაბამისი ინფორმაცია, მის მიერ განხორციელებული გადახდა ჩათვალა გადამხდელის ანუ ზურაბ ელიაშვილის სასარგებლოდ წინსწრებით გადახდილ საწევროში, ხოლო მადონა ძინძიბაძეს შეუწყდა წევრობა აღნიშნულ პერიოდში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საწევროს გადაუხდელობის გამო. განმცხადებელი ითხოვდა მის მიერ მ/წლის 15 მარტს განხორციელებული საწევროს გადახდის ჩათვლას მადონა ძინძიბაძის სასარგებლოდ და აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებას მადონა ძინძიბაძის უფლებამოსილების შეწყვეტის ნაწილში.

მადონა ძინძიბაძემ აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე განმარტა, რომ მ/წლის 15 მარტს მან სთხოვა ადვოკატ ზურაბ ელიაშვილს საწევროს გადახდა. გადახდის დროს, ზურაბ ელიაშვილის მიერ დანიშნულების გრაფაში მითითებულ იქნა გადამხდელის - ზურაბ ელიაშვილის სახელი და გვარი, რის გამოც გადახდილი თანხა დაფიქსირდა არა მადონა ძინძიბაძის, არამედ ზურაბ ელიაშვილის სახელზე და იმის გათვალისწინებით, რომ ზ. ელიაშვილს გადახდილი ჰქონდა თავისი საწევრო გადასახადი, აღნიშნული გადახდა ჩათვალა წინსწრებით გადახდილად 2023 წლის საწევროში, ხოლო მადონა ძინძიბაძეს შეუწყდა წევრობა საწევროს გადაუხდელობის საფუძველით. იგი ითხოვდა აღნიშნული შეცდომის გასწორებას: კერძოდ, ზურაბ ელიაშვილის მიერ 2022 წლის 15 მარტს გადახდილი 100 ლარის ჩათვლას მადონა ძინძიბაძის საწევრო გადასახადში, აღმასრულებელი საბჭოს

2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებას მადონა ძინძიბაძის წევრის სტატუსის შეწყვეტის ნაწილში და მისი უფლებამოსილების აღდგენას 2022 წლის 15 მარტიდან.

მ. ძინძიბაძემ სხდომაზე განაცხადა, რომ მისთვის არ იყო ცნობილი ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ. შესაბამისად, ზ/აღნიშნული პერიოდის განმავლობაში იგი ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას.

ასევე, წევრებმა მოისმინეს ასოციაციის ფინანსური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლითაც დადასტურდა ორივე განმცხადებლის განმარტებაში მოყვანილი ფაქტები.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია იმსჯელოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ მადონა ძინძიბაძის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის ნაწილში. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღნიშნული პროცედურა ითვალისწინებს ფარულ კენჭისყრას.

**აღნიშნულ საკითხზე ფარული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 7; წინააღმდეგი - 0); მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის, მე-2 პუნქტის და “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მადონა ძინძიბაძის განცხადება დაკმაყოფილდეს, ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, მადონა ძინძიბაძისათვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტის ნაწილში.

**(ბ) გედევან გელანტიას, ზაური ბლიაძის და ზაზა დიასამიძის განცხადებებს საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ.**

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ გედევან გელანტია არის სოციალურად დაუცველი და წარმოდგენილი იყო შესაბამისი ცნობა. ხოლო, ზაური ბლიაძეს და ზაზა დიასამიძეს წარმოდგენილი ქონდათ შშმ პირის დამადასტურებელი ცნობები. განმცხადებლები, წარმოდგენილი ცნობების საფუძველზე, ითხოვდნენ საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურისაგან გათავისუფლებას.

**აღნიშნულ საკითხებზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გედევან გელანტიას, ზაური ბლიაძის და ზაზა დიასამიძის განცხადებები და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს;**

(გ) ტრისტან მდინარაძის და ავთანდილ ავალიანის განცხადებებს სავალდებულო კრედიტ საათების დაგროვებისგან გათავისუფლების შესახებ.

განმცხადებლები განცხადებაში უთითებდნენ, რომ ჯანმრთელობის მდოგმარეობისა და ასაკის გამო ვერ ახერხებდნენ მიმდინარე წელს სავალდებულო კრედიტ საათების დაგროვებას.

**აღნიშნულ საკითხებზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ტრისტან მდინარაძის და ავთანდილ ავალიანის განცხადებები სავალდებულო კრედიტ საათების დაგროვებისგან გათავისუფლების შესახებ.**

(დ) ლევან კაკაშვილის, მანანა გელაშვილის, ნაირა ჯუკაშვილის, ნიკა გუჯაბიძის და მურად მიქელაძის განცხადებების განხილვა საწევრო დავალიანების გადავადების თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ რადგანაც მიმდინარე საბჭოს სხდომაზე არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება გადავადებული საწევრო დავალიანების გამო უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, წარმოდგენილი განცხადებების განხილვის სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს და უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან.

**აღნიშნულ საკითხებზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ლევან კაკაშვილის, მანანა გელაშვილის, ნაირა ჯუკაშვილის, ნიკა გუჯაბიძის და მურად მიქელაძის განცხადებები მოიხსნას დღის წესრიგიდან.**

(ე) მურმან ქამადაძის განცხადებას, საწევრო დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც პენსიონერი მოქმედი ადვოკატი, სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 50%-იანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი 2022 წლის საწევროს რაოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ალექსანდრე მეკვიძის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების თაობაზე.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს მურმან ქამადაძის განცხადება 2022 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.**



აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

**დავით ასათიანი**

**თავმჯდომარე**